

33 1/2
1920

საბჭოთა რუსეთის მუშაკთა გათავისუფლება



პირველი მაისი.

საბჭოთა რუსეთი პირველ მაისს არ იღვრის წაუღლებს: ამ დღეს რუსეთის პროლეტარიატი იმუშავებს. (გაზეთებიდან)



№
24

1920 წ.

მაისის 2



1 კომუნისტი. Гляди, Митюха, сколько их собралось, этого международного пролетариату: что это, они нынче не работают, что-ли?
2 კომუნისტი. Знаю дело—не работают: потому—у них буржуазный строй, значить: 1-го мая только и гуляют, а все прочие остальные дни работают. А какъ у нас уже социализмъ, такъ значить, мы и наоборотъ: 1-го мая работаемъ, а прочие дни гулемъ.

შეკარდენი.

მე ეს წერილი ღღისწორს მინდოდა დამეწერა, ერთი კვირის წინათ.

ამ ერთი კვირის ფიქრს ასეთ რთულსა და პასუხსაგებ საგანზე ვიცი მომიტყევებს ძვირფასი მკითხველი. ჩემგან გადადგმული ნაბიჯი კი ქვეშაობით რომ მძიმე და რთულია.

მე ღღედან ვტოვებ გვარდიას და გადავდივარ შევარდენში!

ვიცი ჩემი მტრები ამ ჩემს ნაბიჯს შევარდენში გამართულ იმ მშვენიერ ვახშამს დაუკავშირებენ, რომელზედაც მე ერთხმად ვიქენ თამადათ არჩეული და ეს იმ დროს, როცა ჩემ გვერდით განათლების მინისტრის ამხანაგი იჯდა, მაგრამ ამ ხერხით ჩემი მტრები ფონს ვერ გავლენ.

არა თუ მე, მთელი თფილისელი ბავშვები, რომელნიც წინათ თავს გვარდიელათ სთვლიდენ, ღღეს განურჩევლად სქესისა ერთთავად შევარდენთა ჯგუფში გადაირიცხენ.

მე დიდი პოლიტიკური მოღვაწეები ვიცი, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეში ეძებენ თავის ნამდვილ მოწოდებას და ერთი პარტიული ჯგუფიდან მეორეში გადადიან, მეორიდან მესამეში, მესამიდან მეოთხეში და ასე ბოლომდე, ვიდრე შესაფერ ნავთსაყუდელს არ მიაღწევენ.

მე კი მხოლოდ პირველად ვიცვლი ჩემს შეხედულებას, გვარდიიდან შევარდენში გადავდივარ და იმედი მაქვს შევარდენათ მოვკვდები.

16 და 17 აპრილს შევარდენთა შეჯიბრება მოხდა პირველობაზე და სწორეთ ამ შეჯიბრებამ გადამადგმევინა ეს გაბედული ნაბიჯი.

ჩვენი ცხოვრების თარზზე, მძლეოსნობას დიდი გამზირი უჩანს. თუ მას ღღემდე ქვენობი ჩვენი ყურადღებისა ექცეოდა, ღღეს სამაგიეროთ ზენობი ყურადღება აქვს მიპყრობილი. მისი სვლიგეზი ნათლად არის ახაზული, ვინაიდან ის ამ წლის განმავლობაში ნამდვილი მზიდარო გახდა მთელი ახალგაზღვრებისათვის. სულ რაღაც ერთი წელიწადია, რაც შევარდენი არსებობს, წელიწადი ერის ცხოვრებაში მხოლოდ მკყია და მეყიურ მათ მოქმედების ჯუმლს რაგინდ სასტიკმა მხილარმა გაუკეთოს მხილარება, ნაკლს ვერაფერს უბოვის.

არა მგონია ვინმემ აზრის რიოში შემომწამოს! ჩემი მსჯელობა სრულიად საგნისურია და მე საზოგადო საძღვისად მაქვს მიჩნეული საშუქსახოს სისწორით და მიუდგომლობით გადმოვიღო მქმობი.

ის ბიჯრი განვითარებისა, რომელშიაც ღღეს მძლეოსანთა საზოგადოება იმყოფება, ის შეკინული მოქმედება რომელსაც ისინი აწარმოებენ, იმედს მაძღვეს ვიფიქრო, რომ პატარა ნახტი შე-

ვარდენისა მალე გაიზრდება და მცირე რიცხოვან კავშირიდან სიბროს ხასიათს მიიღებს.

ზემო აღნიშნულმა საღამომ სრულიად დამარწმუნა იმაში, თუ რა ნაირმხრივი განვითარების მიცემა შეუძლია ტანვარჯიშობას ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

არა, მე შევარდენში უნდა მოვკვდე, თუნდაც ისეთი ვახშამები სრულიად მოსპონ.

გაისმის მომხიბლავი სამწყობრო ბრძანება:

— ტყუპ წინ უკუ ფერხვით, ქუსლშლით ერთ მწყრივად იარ წინ რბენ ჰატ!

და ვარსკლავივით ქაბუკები მწყობრათ ასრულებენ ბრძანებას.

თარჯოვანი რბენა, ზომითი რბენა, უკურბენა, ზერბენა, ქვერბენა; ზემვერილი, ღგომკიღვა, წოლკიღვა, ღუნკიღვა, ბიჯებული ღგომა, წინ ბიჯებული ღგომა, გან ბიჯებული, შებიჯებული, უკუბიჯებული, ზერკალი, ქვერკალი, გარერკალი, უკუფერხვა, უკუშკლავობა უკუხტობა, უკუ ქნეობა, უკუღმართობა... ყველა ერთი მეორეზე უფრო კობტათ ლამაზათ და მოხდენილათ სრულდება.

დამსწრე საზოგადოება ტანთვარჯიშობის დროს სულ განაბულია, მხოლოდ შუალედებში თუ ახმაურდება და ტაშით აჯილდოებს გამარჯვებულთ.

აი რა არის შევარდენი და მიკვირს ღღემდე სად ვიყავი. ამ შეჯიბრებამ არა ერთი და ორი წვეფრი შესძინა ამ საზოგადოებას, რომელთა შორის მოკრძალებით უნდა აღენიშნო ქალაქის მოურავი თავისი ორი ვაჟით, განათლების მინისტრის ამხანაგი, ცნობილი მგოსანი ლეო ნათაძე, კ. ჯაფარიძე, გ. ქიქოძე და სხვანი.

ბ-ნი ნოე ცინცაძე, როდესაც მან სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის ჩაღათა მიიღო და შევარდენის საზოგადოება თავისი მფარველობის ქვეშ დააყენა, ალბათ სრულიადაც არ მოელოდა ასეთ ბრწყინვალე შედეგებს. სამაგიეროთ ახლა ეცდება უკვე რონიზე შეყენებულ ქმოსს ზამბარი და ღღეში არ გაუფუქოს, ხელი შეუწყოს, თუ რამე ხარვეზი აქვს შეუუხსოს და მით საზოგადოება ზეწერტამდე აიყვანოს.

ეზეკი.

„ამხანაგის“ წერილი.

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის დავალებით ღღევანდელ ნომრისთვის საპირველმინო წერილი უნდა დამემზადებია. ვინაიდან ხსენებული კოლეგიის სიტყვა ჩემთვის კანონია, ხოლო კანონის ფასი და ძლიერება ჩვენს დროში ყველას მოეხსენება, მეც ისე მოვეუბარი ამ დავალებას, როგორც კანონს: ე. ი. არ შევასრულე. ამის

გამო დღეს დღით სწორეთ იმ გუნებაზე გამე-
 ლვიდა, რა გუნებაზედაც მოწაფეობის დროს გამე-
 ლვიდებოდა ხოლმე, როდესაც არც ერთი გაკვეთი-
 ლი არ მექნებოდა დამზადებული (ზოგჯერ ასეთი
 მარცხიც მომიხდებოდა ხოლმე): ცოტა არ იყოს,
 სინილის რომ ეძახიან, ის ოხერი ჭია მაწუხებდა.
 ეს გრძობა და კბილის ყრუ ტკივილის გრძობა,
 მართალი მოგახსენოთ, ძალიან მეჯავრება. მე თუ
 მკითხავთ, ისევ კბილის ტკივილი მირჩევნია სინი-
 ლის ტკივილს: კბილს ამოაძრობინებ მიინც...
 თუმცა სინილის ამოძრობაც შეიძლება, მაგრამ,
 — შენი არ ვიცი, მკითხველო, და — მე, კბილის
 ამოძრობა მირჩევნია, სინილის ამოძრობას.

რალა ბევრი გავაგრძელო, ძალიან ცუდ ყო-
 ფაში ვიყავი, მაგრამ უცებ ბედმა გამიღიმა და —
 სრულიად მოულოდნელათ ფოსტის შიკრიკმა ისეთ
 წერილი მომიტანა, რომლის დაბეჭდვა, თუ სულ
 მთლად არა, ოდნავ მაინც დამიმშვიდებს ამ აბეზარ
 სინილის. მართალია, ეს წერილი ორგანიულათ და-
 კავშირებული არ არის 1 მაისთან, მაგრამ ფორ-
 მალური კავშირის უარყოფა ყოველად შეუძლებელ-
 ლია, რადგან ავტორს განზრახ იმ ანგარიშით გა-
 მოუზნავნია, რომ 1 მაისს მომსვლოდა. ვათავსებ ამ
 წერილს უცვლელად, სიტყვა-სიტყვით, რადგან
 მისი შესწორება დამახინჯებდალ ჩამეთვლებოდა.

„ამხანაგური სალაში თავუნას!

პირველათ მოგილოცავ 1 მაისის ბრწყინვალე
 დღესასწაულს და თქვენს კარგათ ყოფნას ყოვლის
 შემძლებელ ბუნებას ვსთხოვ, რომ კარგათ ბრძა-
 ნებულიყოთ საერთაშორისო პროლეტარიატთან
 ერთად.

სხვა, რაც შეეხება, ნათქვამია, კაცი კაცის
 ხილიაო, და თქვენთანა დამსახურებული ამხანა-
 გი ხომ ხილზე უფრო ხილია და ჩვენც თქვენის-
 თანა ამხანაგების წყალობით გვიდგას სული, თო-
 რემ, მართალი უნდა მოგახსენოთ, არაკის არ იყოს,
 სჯობს სიცოცხლესა სიკვდილი, ცუდია გვარიშვი-
 ლობაო, თუმცა ახლა გვარიშვილობა მოისპო და

დემოკრატია სულ სხვა ლოზუნგები გადაისროლა
 მასაში, მაგრამ სიტყვამ მოიტანა, თორემ ჩემი სა-
 განი და მიმართულების რწმენა თქვენ კარგათ
 მოგეხსენებათ, რომელიც რომ დღიდან რევოლიუ-
 ციის დაწყებისა სოციალ-დემოკრატიულ პარტია-
 ში ვარ შესული სულით და გულით და ვერავი-
 თარი შეგ-ბნელი ძალები და სხვის ხელში გულის
 ფათური კონტრევოლიუციონურ და ბალშევიკურ
 ბანაკში ვერ გადამისვრის, ვინაიდან მარქსის კა-
 პიტალმაც ბრძანა და ჩვენმა ნოემაც ეკონომიუ-
 რათ დაამტკიცა, ქართველი პროლეტარიატი და-
 მარცხებს ყველა ქვეყნის პროლეტარიატსო, ჩვენც,
 რასაკვირველია ამ დღიურ წესრიგს ვემორჩილებით
 პარტიულ დისციპლინაში და რაც შეიძლება შე-
 გვაქვს სოფლის ბნელ მასაში ხმა მლაღადებელისა
 უდაბნოსა შინა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩემი სა-
 განი რომელიც რომ ზედმეტათ განვითარებული
 ამხანაგი ვარ და აფსუსია ყრუ ხალხში ჩემი რე-
 ვოლიუციონური მონაპოვარის დაბანდება, ამი-
 ტომ პროლეტარულის სალაშით გისურვებთ რა
 პირველ მაისს წარმოების განსაზოგადოებრივებას,
 ამხანაგურათ გთხოვთ რომელიც რომ თბილისი
 საერთაშორისო მუშა ხალხის მოძრაობის ცენტრია,
 ამიტომ ერთი მკირე აღგილი — ან კამისარისა,
 ან კიდევ მომარაგების სამინისტროში, რაიცა
 ჩემს ხელ-მოკლეობას შეეხება, უკეთუ სხვა
 ჩემი ამხანაგები წელში გამართენ და სული მო-
 იბრუნეს, ცოტა გამოხარჩენიანი მეც მარგუნოთ
 ორიოდ თვის ვადით, რომ ხელი მოვითბო და
 შემდეგ გთხოვთ, როგორც წესი და რიგი მოით-
 ხოვს, ციხეში ჩამსვათ და სამართალში მიმცეთ,
 რომელ სამართალსაც ჩვენი დემოკრატიული
 რესპუბლიკის ფარგლებში შეგნებული ამხანაგი
 ვარ და არასოდეს არ გავექცევი.

თქვენი მოწინავე ამხანაგი, ლე. ლე. ამ წერილის
 ავტორის ვნაობას სხვა და სხვა მოსაზრების ძა-
 ლით არ ვამქლავნებ.

თავუნა.

პირველი მაისი.

პირველ მაისის ჭირიმე, უქმე რომ არის მუშისა!
 მეტი სიამით ეს გული ლამის გამიხდეს მუშისა!
 ჯეჯილის სუნი ტრიალებს, ნაყოფი მოსჩანს ნუშისა!
 საცაა ლხინი გაჩნდება... ხმა ისმის ტაში-ტუშისა!

ამ გაზაფხულის მაისმა ძალიან წამახალისა,
 იმედი უფრო მომეცა ბუნების სამართალისა!
 თანდათან მტერსა ეტყობა დაბნევა გზა-და-კვალისა!
 ლამის ქვეყანას მოედოს ცეცხლი მსოფლიო ალისა!

თქვენ კარგათ იცით, რას ნიშნავს მუშებისათვის მაისი,
 აწმყოთი ხარობს... უკეთეს ამბავს უქადის გაისი,
 ახლოა წამი შევებისა, მესმის საამო ხმა ისი,
 მთელი ქვეყნისთვის ერთია იგი დღე პირველ მაისი.

გიგო ხეჩუაშვილი.




1001

სამხატვრო თეატრი.



პეპიძე ვა.

მსალიტინოვი — ლოპახინი („ალუბლის ბაღი“)



თარხანოვი — უპიხოლოვი („ალუბლის ბაღი“)

ბაკშევი — კრუტიცკი („ერთი სისულელე ბრძენსაც მოუვა“)



აღსარება*)

ევტერპამ დამაკეტინა კარი და დაიწყო:

— ჩვენ, მუზები, ჩუდამ პარნასზე ვცხოვრობთ. მხოლოდ გაზაფხულობით ჩამოვეშვებით ხოლომე იქიდან რამდენიმე დღით ქვეყანაზე და შემდეგ ისევ პარნასზე ვბრუნდებით. ვინ სად უნდა ჩამოვიდეთ, რომელ ქვეყანაშია, ამას ჩვენი მოზღვრები— ძვესი და მნემოზინე—აწესებენ. ამ გაზაფხულს მე საქართველოში ჩამოსვლა მხვდა წილად. ჩამოვედი თუ არა, ძველთაგანვე დადებული წესისამებრ, ჩემი ქურუმები მოეძებნე. მე ლირიული პოეზიის მუზა ვარ და ჩემი ქურუმები—ლირიკოსი პოეტები—აი აქ, ამ სარდაფში, ვიპოვე, იქითა დიდ დარბაზში, გრძელ სუფრას უსხდნენ და რაზედღაც გაცხარებით კამათობდნენ. რომ შემნიშნეს, შეჩერდნენ და გაკვირვებითა და ცნობის მოყვარებით დამიწყეს ცქერა. მე მიუახლოვდი მათ სუფრას და ვუთხარი, ვინც ვიყავი. ჩემი სახელის გაგონებაზე ისეთი ყვირილი და ტაშის ცემა შეჰქმნეს, რომ თაღებმა ზანზარი დაიწყო. ერთი მათგანი მაშინვე ზეზე წამოიჭრა, მომვარდა, მწვდა მარცხენა ხელში და ენის დაძვრაც კი ვერ მოვასწარი, ისე სწრაფათ წამათრია სუფრისკენ და თავის გვერდით მომისვა. მაშინ ხმაურობამ უადრეს წერტილს მიაღწია. იმავე ქურუმმა აიღო ხელში ღვინით სავსე გამჭვირვალე მინის თასი, ასწია მაღლა და გაჩერდა. ხმაურობა შესწყდა და სიჩუმე დამყარდა. ქურუმმა მე გადმომხედა, შემდეგ სუფრასთან მსხდომთ მოავლო თვალი და წარმოსთქვა:

— ბატონებო! დღეს გვესტუმრა ჩვენი ღმერთა, ჩვენი კერპა! ამ სასმისით ვადღეგრძელოთ უცხო სტუმარი ევტერპა!

— ვაშა! ვაშა! ვაშა!—დაიღრიალეს ერთხმად ქურუმებმა და ჩემი სადღეგრძელო დასცალეს. გაჩაღდა თავზე ხელაღებული სმა და ქეიფი. ღვინო თან და თან ეკიდებოდა ქურუმებს. მე წასვლა დავაპირე, მაგრამ არ გამიშვეს. ყველანი მოდიოდნენ ჩემთან და ხელზე მკოცნიდნენ. ბოლოს მკლავებზე დამიწყეს კოცნა. ჩემი მეზობელი დაქინებით მთხოვდა, სარტელი შეიხსენიო, როგორღაც სხვა ნაირი თვალებით მომჩერებოდა და ფეხზე ფეხს მაჭერდა. მე ისე გამაბრუა ამ უჩველმა ამბავმა, რომ ძალ-ღონე წამერთვა და გონს ვერ მოვსულიყავი. ჩემს სადღეგრძელოს წამ-და-უწუმ სვამდნენ და იგივე ქურუმი სულ ლექსათ ამბობდა ხოლომე:

— სმა ჯერ კიდევ შემოდლიან და არ მითქვამს მე ჯერ „პასი“. გთხოვთ, ძირამდე გამოსცალოთ სადღეგრძელო ევტერპასი!..

*) იხ. № 23.

ან კიდევ:
— ჰორიზონტალ სიბრტყისათვის მოიგონეს ვატერპასი... მაშ დაელიოთ სადღეგრძელო ჩვენი მუზის, ევტერპასი!

ყველანი აღტაცებით ეგებებოდნენ აქ ლექსებს და ყოველთვის მე შემხედავდნენ ხოლმე, ვითომ: „ნახე რა ნიჭიერი ქურუმები გაყავსო!“ დილაზე გაგრძელდა ეს ამბავი. ყველაზე უფრო საშინელება ის იყო, რომ ღვინოს მძაღლებდნენ:—გინდა, თუ არა, უთუოდ უნდა დალიოო, შენ ჩვენი მუზა ხარ, და როგორცერი, ისეთიც პერიო.—ძლივს დავაღწიე თავი. გათენებისას აიშალენ, გარეთ გამოვიდნენ და ეტლებში ჩასხდნენ. მე ჩემმა მეზობელმა ქურუმმა მტაცა ხელი, აი იმან, ლექსებს რომ ამბობდა და თავის ეტლში ჩამისვა. ამაზე ატყდა ერთი აურ-ზაური. სხვებს კიდევ თავიანთ ეტლში უნდოდათ ჩავესვი, მაგრამ ის მეღექსე არ ანებებდა. ბოლოს ისე გამწვავდა საქმე, რომ ერთმანერთს დაერივნენ და ცემა-ტყემა შექმნეს. მე დრო ვიხელთე და საერთო ალიაქოთში და დავიდარაბაში შეუმჩნევლად გავიპარე. იმავე დღეს პარნასისკენ გავემკვზავრე. რამდენიმე დღეში ჩემი დებიც დაბრუნდნენ და ქველანი რომ შევეგროვდით, როგორც რიგი იყო, სათითაოთ ვუამბებთ ერთმანერთს ყოველივე ნახული და შენიშნული. ჩემი მოხსენება რომ მოისმინეს, ძალიან დაღონდნენ და, ბევრი ფიქრისა და სჯაბასის შემდეგ, გადასწყვიტეს, რომ მე ისევ ჩამოვსულიყავი აქ, რათა ჩემი პირადი გავლენით და მღწყოფით აღმედგინა ჩემ ქურუმებში ძველი მოკრძალება და თაყვანისცემა ხელოვნებისა. რალა გაეწყობოდა? მეც იძულებული გავხდი, საერთო გადაწყვეტილებას დავმორჩილებოდი და გულის ტკივილით წამოვედი. სჩორედ აქ იწყება ჩემი ნამდვილი წამება.

ევტერპას ხმა აუთრთოლდა და შეჩერდა. ტუჩებმა კანკალი დაუწყო და საუცხოვო დიდრონ თვალეზე ცრემლები გაუბრწყინდა. დიდ ხანს იყო ვგრე გაჩუმებული, სივრცეში იტკირებოდა და თვალებს ახამხამებდა. ბოლოს როგორც იყო დასძლია გულისთქმა და ოღნავ გასაგონი ხმით, ნელა, ყრუთ წარმოსთქვა:

— მის მაგიერ რომ მე მომეხდინა მათზე გავლენა, იმათ ჩამაბეს თავიანთ ცხოვრებაში... კიდევ შეჩერდა და უფრო მიღეულის ხმით წაიბუღმუტა: —წუხელის მესამე ჯერ დამათვრეს და ჩხუბშიაც მიმაღებინეს მონაწილეობა!... თავზარ დაცემული და გაშტერებული მივჩერებოდი საბრალო მუზას და გული მიკვდებოდა. ვერ წარმომედგინა მარმარილოსაგან ნაკვეთი მისი სახე მთვრალი, მისი ნაზი ხმა-ღვინისაგან ჩახლენილი, მისი ანკარა თვალეზი-ამღვრეული! ჩხუბშიაც მიმაღებინეს მონაწილეობაო! ესა და ჩხუბი?!.. ამის წარმოსადგენათ ხომ უმაღლესი ფანტაზიაც უძლე-

რი იყო! ახლა კი ვეღარ შეიკავა თავი და ისე აქვითინდა, რომ ქვას აუჩუყებდა გულს. ოჰ, როგორ მომინდა მეც ტირილი! ცრემლი ყელში დამიმორგვდა, თვალთ დამიბნელდა და ნიკაპი კონფულსიურათ შემითამაშდა. ჭეშმარიტათ, ზესთადამიანური ძალ-ღონის მოკრება დამჭირდა, რომ თავი შემეკავებინა და ღრიალი არ მომერთო.

— მორჩა... გათავდა... — ძლივ-ძლიობით ისროდა სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ცრემლებისაგან სულ-შეხუთული: მე... პარნასზე... ვეღარ... დაებრუნდები... აღარ მიმიღებენ... თქვენ წარმოიდგინეთ: კასტალიის წყაროს გარდა... ჩემ სიცოცხლეში... არაფრისთვის... ტუჩი... არ მიმიკარებია და ამათ... „კავშირთა-კავშირი...“ და ხაში!.. ამაღამ კიდევ მოვლენ... ეს სამოსელი... უნდა გამხადონ... და თავიანთებურათ მომერთონ... იმ დღეს... საღამური წამართვეს... და არღნის ტარი მატრიალებინეს...

უცებ გველნაკბენივით წამოხტა და ყურები დაცქვიტა. თვალები გაუფართოვდა და შიშის ზარი ჩაესახა შიგ.

— ჩუ!.. მოდიან!.. გვეედრებით, მიშველეთ! თქვენს მეტი მოსარჩლე არა მყავს.. ნუ გაუღებთ კარებს... — სხაპა-სხუპით წარმოსთქვა მან და მუხლი მოიდრიკა ჩემს წინაშე.

მართლაც, კიბეზე ხორხოცი და რამდენიმე კაცის ფეხის ხმა მოისმა. ისე შესაბრალისი იყო საწყალი ვეტერპა იმ წუთში, რომ გადავწყვიტე, რაც უნდა მომსვლოდა, შიგ არ შემომეშვა მისი ქურუ-

მები, მაგრამ როდესაც კარების მსხვრევა დაიწყეს, უცებ მომაგონდა „დარბაზი“, ქურუმების საზარელი სახე, თავბრის მსხვრევა, ქალების კივილი, მილიციონერების რევოლვერები, ჩემი დახეული საყელო და სულ-მოკლეობამ და სიმხდალემ შემიპყრო: კარებზე გაველე, ღია კარს ამოვეფარე და ყველანი რომ შემოვივდენ ყვირილით და ალიაქოთით, შეუშინველად გავიბარე.

კიბეზე რომ ავდიოდი, მთავარი „ქურუმის“ ხმა მომესმა, რაღაც ექსპრომტს ამბობდა...

გუშინ წინ საღამოს „ქიმერიონში“ ჩავედი. ერთ-ერთ სუფრას რამდენიმე „ქურუმი“ უხსნა. მათ შორის ვიღაც კოპწია ქალი იჯდა: ფერ-უმარილიანი, ტუჩებ-შედებილი და ზურგ-მკერდ-გატიტვლებული, ფეხი ფეხზე გადაედო დაუღვევრათ და თითქმის მუხლამდე გამოეჩინა ფოლადის ფერ გამჭვირვალე წინდებით დამშვენებული წვაეები. ფეხზეც ფოლადის ფერი ღია ტუფლები ეცვა. მეზობელი ყურში რაღაცას უჩუჩულებდა და ის ქალი ისტერიული კისკისით იცინოდა. რომ დამშვიდდა, ჩემკენ გამოიხედა და თვალი მიყო ორ-აზროვნათ. მე რაღაც მეცნაურა მისი გამოხედვა და თვალები, ჩავაკვირდი და ვიცანი ვინც იყო. მგონი მანაც მიცნო, რადგან მოწყვეტით მიტრიალდა მე ზობლისკენ, ზურგი მე მომაქცია, პაპიროსს მოუკიდა და დაიწყო ნელის ხმით ღრინი „მინდა გიყვარდეს“ ხმაზე.

იმედია, შენც იცანი, მკიახველი!
თავუნა.

რად სვამ ღვინოს?

რად სვამ ღვინოს? რად სვამ ღვინოს? ყოველ წუთში მეკითხები... იცი ჩემი გულის დარდი, იცი ჩემი გულის ხმები! რომ სევდიანს, დამწვარს, დაგულოს, ერთხელ ტკბილად დამეძინოს, დაიჯერე, მალოოდ მისთვის ვეწაფები ხოლმე ღვინოს.

ღვინისაგან გაჯდენთილსა განა მესმის მაშინ რამე? ვის რა უნდა, თუ კი ერთხელ ცოტად გული დავიამე და ბედისგან განამწარმა ოცნებასა გავყევე შორე! თუ ამითი გულის დარდი უკუ ვაგდე, მოვიშორე?!

როს მეწვევა მწარე ფიქრი და გულს მიღრღნის სევდა მწველი, ვეწაფები მაშინ ღვინოს, ღვინო არის ჩემი მხსნელი... და ვთხოვ კვალად ნულარ მკითხავ: რად სვამ ღვინოს? რად სვამ ღვინოს? შენც გადაჰკარ, გამოსცადე თუ გასურს ტკბილად დაგეძინოს*)

გრ. კაჭარავა.

*) სიამოვნებით ვამოწმებ, რომ საშუალება ავტორის მიერ ამ ლექსში აღნიშნული უებარია ძილ გატეხილთათვის, თუ რასაკვირველია ნორმა საკმარისი მიიღე.

შექანჯალებულის ლექსები.

I

აღის მაღის, აღის მაღის,
 მომწონს ცეკვა გიჟმაე ქალის,
 ხუჭვა მისი ცელქი თვალის,
 ცქერა მის ფეხთა სრიალის...
 კონფერენცია ვესალის
 სიმაგრის დარჩა ვერ სალის,
 ვერ შესძლო ქვეყნის მწველ აღის
 ჩაქრობა, დასხმა ზედ წყალის,
 მაგრამ ვინ-გიჟმა იფიქროს,
 მას სთხოვო ცეცხლი ჩააქროს
 ვინაც გათბობას ზედ ფიქრობს,
 და გულის რევას მით იქრობს...
 ანტანტას, კირი და გვემა!..
 მას სტანჯავს კვლავ მუცლის გვრემა,
 და მოიგონა სან-რემო,
 იქნება მის სიმაგრემო,
 გვიტყვიცო! მადა და გემო;
 იქ მუსო, დენდ-მარკიზები,
 სხედან განაკაპრიზები,
 ხალხზე გულ-ანაპრიზები,
 რომ გვიძღვან სიუპრიზები,
 ვინ უწყს ვის ჩაქრას მან თათი
 სომხებს—დანიის მანდატი,
 და—ამერიკის ფულები...
 თუ არ გამოდგა ტყულები...
 ქართველებს კი მოლოდინში,
 ძილი არ მოგვდის ლოგინში,
 ყველა ჩაგვიდგა ჯიბრშია,
 პირს გვიღრენს ყველა—ვის შია.
 ვაჰ, თუ მოგვტაცონ ბათუმი—
 —არ ექნეს სპილოს ხორთუმი.
 დღეს ლობიო ვჭამე უმი...
 აქარაშია ლეჩხუმი...
 ერთს კი გეტყვი, შენ, სან-რემო,
 მეგობარო და ძმავ, ჩემო,
 ცოტა გჭირია სიღინჯე,
 ფეხს სადაც ადგამ, მოსინჯე,
 და თუ იპოვი დასაყრდნობს,
 საიმედოს და დასანდობს,
 იქ დააბიჯე თათია...
 ვაჰ, თუ შეგემთხვას ხლართია,
 და მოლიპულზე დაგიცდეს,
 მაშინ დამტვრევა არ ავცდეს...
 ჰო, და იცოდე, ბათომი,
 თუმცა იმისი ხარ მდომი,
 პირში არ ჩაგცდეს ძმავ ჩემო,
 ახლად შობილო სან-რემო,
 თორემა მუცლის კვლავ გვრემა,
 ვერ სძლიოს შენ სიმაგრემა...
 ბათომი, გწამდეს შენს კუჭში,

ყრუსა, ბრმასა და ჯიუტში,
 იცოდე, არ მონელდება,
 და საქმე გაგიძნელდება
 ვხედავ, ქვეა თლად მითხელდება,
 და ცხვირიც დამიგრძელდება...

II

გორი, ფოთი... და მანგლისი.
 შორაპანი... მარელისი...
 გაღვიხადე პარაკლისი...
 დაფრჩი მე გულ დანაკლისი.—
 არ მომწონს მე ეს ინგლისი...
 და არც მისი კუკ-კოლისი...
 არც მისი ძმა—დამქაშები...
 (დღეს მაკაბა დამ ქაშები
 მძულს მე ინგლისის დენდები,
 მათი შურიით ვითენთები,
 დღეს ისე არ გათენდება,
 ბათუმში რამე მოხდება,
 (ესო ქართველ ხალხს მოხედება)
 ჰაი, გიდი, ჰაი, გიდი...
 აგვიფეთქეს კიდევ ხიდი,
 ხიდი, გვირგვინი კინტრიშის,
 მაგრამ არ მკლავს ქარი შიშის,
 ხიდი მალე გაკეთდება,
 ზედ II0E34-იც გაგოგდება,
 და ზარალი, რაც მოხდება,
 იგი, ინგლისს—გადახდება...
 ჰა, ჰა, ჰა, ჰა... რაც მოხდება,
 იგი ინგლისს გადახდება,
 ვიცი, ჯონ-ჯვი გაბრაზდება,
 აუხტება, დაუხტება...
 თავს ხომ ვერ გადაახტება,
 და ისევ ძირს ჩამოხტება,
 მაგრამ ეს კი ხშირად ხდება,
 ვინც ნამეტანს ზევით ხტება,
 ხშირად, კისერიც მოტყდება,—
 (თუ თავის თავს გაუტყდება).
 რას გვიპირობს უორდროპი ?
 —თავში ჩაგკვრას—შუბლზე კოპი.

შექანჯალებული.

პატივცემულ თანამშრომელს d-ს.

როგორც თქვენი წერილების მისამართი გვიჩვენებს თქვენ ქ. თფილისში უნდა ცხოვრობდეთ. «ეშმაკის მათრახის» რედაქცია უმორჩილესად გთხოვს შემოიაროთ თურნალის რედაქციაში რუსთაველის ქ. 24.

პატივისცემით თავუნა და ეშმაკი.

„უძაღლესმა საბჭომ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა“

(პარიზის გაზეთებიდან).



პირვ. პარიზელი. უხე, საქართველოს რესპუბლიკა აწერია. ნეტა სად უნდა იყვეს ეს ქვეყანა? მეორე პარიზელი. რა მოგახსენოთ... აღბათ ჩინეთის ან მექსიკის საზღვარზე იქნება!

შ ა რ ა ლ ა

„მეშაქის მათრახში“
შარადებს გვიწერდა
ებლა კი აღარ სჩანს
მგონი დაგვიბერდა.

შარადის დაწერის
შნო ლაზათი წესი,—
მე არ ვიცი ჰქონდეს
ვინმეს უკეთესი.

პირველი ასო გვაქვს
მისგან სათხოვარი,

გამოცდილი არის
ვეჭვობ გვითხრას ვარი.

ნივთიერება
ხმარობს დღედათ სქესი,
გასალამაზებლათ
იმის უკეთესი

არაფერი არის,
იცხოს გალამაზდეს,—
მხოლოდ პირველ ასოს
მოვსთხოვთ არ განაზდეს

ერთ დიდ სახელმწიფოს
იყო თვით მაყრობელი,

შ ა ლ ი კ ა ზ ა რ ი ზ შ ი.



მუშაკი (თაგუნას) შეხედე, მეგობარო, ის კაცი, ეგერ, პარიზიდან რომ სალამს, გვაძლევს ჩენიგ შალიკოა, თუ ფრანგების დეშანელი? თაგუნათაგუნე კი ძალიან ჰგავს დეშანელს, მაგრამ ფეხების სიგრძე შექვევს... მოიტა ეგ დურბინდი და ახლავე გეტყვი.


სანამ არ დასთხოვეს
ვერ აიღო ხელი.
თუ ჩამოაგდებდნენ
არ კი დასიზრმია
დღეს მის სამეფოში
სოციალიზმია...
ისე იმათ ბელადს
ღმერთი გაახარებს
სოციალიზმს იგი
უცბათ დაამყარებს.
ჩვენ იმ თვითმპყრობელის
გვჭირია სახელი,
ოთხ ან ბანს წინ-უკან
არ მოჰკიდო ხელი.
სამი შეაზე მყოფი
ჩვენთვის საჭიროა,
აბა დაეჩქაროთ
ქვევით ჩაყვეთ დროა.
ამ საზღაპრო ომში
არა მარტო შტოკით

ვინც დასძლია ყველას
ჭკუით პოლიტიკით.
ჩვენ მოვთხოვოთ ნოტიო
სულ სამი ანბანი
მარა უეჭველათ
ბოლო რიგში მდგარი.
შარადაც მზათ არის
აღსრულდა ღვთის ნება,
რითიც გავიცანით
უცხო პიროვნება.
ვინც ბათუმის კითხვა
შავებს ანაცვალა
და მით საქართველო
დიდათ დაავალა
(თუმც სავსებით ვერ იქმს
მისგან განაპირებს)
სხვაზე აღრე ველით
ჩვენ აქ ქართველ გმირებს.

ისკანდერ.

„გლახა მუშა კვირა ძალზე გახედებაო“

Помни день „субботникъ“ и гуляй въ остальные дни. (კომუნისტების პირველი მცნება)



ორშაბათი. კომუნისტს პირალმა სძინავს.



სამშაბათი. კომუნისტს პირჩალმა სძინავს.



ოთხშაბათი. კომუნისტი დროებს ატარებს



ხუთშაბათი. კომუნისტი ქალაქს თამაშობს



პარასკევი. კომუნისტი ქეიფობს



შაბათი. კომუნისტი მიტინგზე არკვევს „სუბოტნიკის“ მნიშვნელობას.



სუბოტნიკა. (ჩვენებური კვირა). კომუნისტები მუშაობენ: „ვოშებოიკას“*) ამზადებენ.

*) „ვოშებოიკა“ — ტილის საელექტი იარაღია, საბჭოთა რუსეთში მოგონილი.

გურული სცენა.

(თოხარიკი.)

- სიპიტო, შენი სიცოცხლე!
- ღმერთმა მიცოცხლა შენი თავი ჩემო სოლომონ...
- ვისია კაცო აი ბედაური?
- გლახუნესაა, გლახუნეს. ასთე დაგლახთა ზოგიერთი ფერშლებისას ყორიფელი...
- ხელით, რომ მიგყავს ზეთ ვერ შექდები, თუ დაგავიწყდა ცხენზე ჯდომა?
- ხელით მიმყავს, მარა წისანდგარე უნდა ამ დაღუპულს და ზეთ რომ შევქდე მაშინ ბიჯიკინეც კი დასჭირდეს მგონი...
- თუ ასთეა მაშინ რაღათ გინდოდა, ფეხით არ გერჩია წასვლა?
- მე კი, ძამია, მარა ქალი მყავს შეწუხებული, ფერშალი მინდა მეფიყვანო; ვიყავი, ვეხვეწე, მარა არქნა: მანდამაიც ცხენი მომიყვანეო; თოხარიკი იყოს თვარა გლახაზე არ შევქდებიო; მიმყავს აგერ მარა ქეც მეშინია, ვაი თუ დეიწუნოს...
- დეიწუნოს, რა, ჯვარს ხომ არ იწერს ზედა;
- ჯვარს არ დაიწერს, მარა მანდამაიც თოხარიკი იყოსო; ამაზე უკეთესი არაა ჩვენს მუხუროში და ამ ჯახრიკაში ვოც თუმანს ვაძლევ ქირას...
- რაფა გადირია კაცო ქვეყანა, მამა მისი მის სიცოცხლეში ცხენზე არ მქდარა; ბევრი ნარბენი ფეხები უნახელაო ქადსავით ქონდა დახეთქილი; საყანე ვაკეზე მისდღემში არ ქონია, სულ ფთაში

უბასკუნებდა თოხს; ყოოლდღე ტიალ გორზე და ჯარაკაზე დათოხარიკობდა ფეხშიშველი, მარა არ მომკვდარა და შვილი რაღამ გადარია, ერთი ვორი ვერსი ფეხით ველარ გეიარა?

— დროიც წახლა ძამია და ხალხიც... ხომ გახსოვს საწყალი მამიელე... აი მწარე წამლის გამოწერა არ იცოდა თვარა ისე ნატყვიარში, მოტეხილში, ნანჯაყეში და სხმოში ახლანდელი ფერშლები მასთან მონაგონიც არ არიან; ერთი კი გეთქვა, ცხენი უნდოდა იმას შენი და არც ჯორი, ისე ფინთხივით წამევიდოდა, რომე თოხარიკი კიარა, ძველი ჯღერიების ლაფშაც ვერ გოუსწრედა. აგენმა ახლა ცხენი მანდამაინც თოხარიკი იყოსო; ასთე გონია მაყრათ ან ქალის გასაშინჯად მიმყავდა სადმე, მარა რას იზამ ხომ გაგიგონია: „რაფაც გიქირდეს ისე გილირდეს“

რ. ჯიბილ.



ო.შ.გ

ს ა მ ხ ა ტ გ რ თ თ ე ა ტ რ ი .



პოლონი

კაჩალოვი — კარენო: („სასუფეველის კარებთან“)



ალექსანდროვი — იაშა („ალუბლის ბაღი“)

აღმოსავლეთის სუნთქვა.

(ძღენათ ჩემს უფროს ძმას, — გრეგუარს*)

აღმოსავლეთი ჩემს სარკმელში შემოიხედავს.
აღისფერ კატას მუცლის ლოკვა დაეზარება.
თვალეზ დათხრილი სატრფო ყელში ეშხით ჩამ-
ხედავს.

ნაზი აისი ორსულ ქათამს დაედარება.

მოდის თავრიზი და თან მოაქვს ალმური შახის.
პირამიდები ინგრევიან ნილოსის პირზე.
ზეცამდინ აღწევს ხმა საამო ველური ტახის.
ხელმწიფის ასულს ათაშანგი მიაჯდა ცხვირზე.

მთვარის მენი შიშველ ხელებს ყვითლათ
იღებავს.

შე წითელ ჯორაკს მოაქანებს კობტა ქენებით.
დღეს მაისია: ყველამ ის ქნას, ვისაც რა ნებაღს!
კის მნათობები მიწას ლოკვენ მშრალი ენებით.

ტიციან მეორე

დედა-ქალაქი.
თეთრი ღამე.

*) უმორჩილესათ გთხოვთ-პარიკმახერი არ გეგონოთ

ტ. შ.





შარავი — პროფესორი. („სასუფ. კარებთან“)

ქორწილი.

ა. აპრილს ქ. ზესტაფონში მოხდა მეტად ღირსშესანიშნავი ამბავი. შორაპნის მაზრის მასწავლებელთა სოც.-ფედ. ფრაქციამ ჯვარი დაიწერა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციაზე. მაყრათ დაესწრო შორაპნის მაზრის მასწავლებლობა.

ბ. ქვორუმიც აქ ბრძანდებოდა. დედოფლობა მღ. სიმონ მკედლიძე. თამადათ ერთხმად აირჩიეს მასწავლებელი ქალი ზედგინძისა, მის თანაშემწეთ მასწავ. მაქავარიანი. მღვდელთ მოქმედება შეასრულა მღ. აბია თარი იაკობაშვილმა. მგალობელთა გუნდს მეთაურობდა ლოტბარი აკაკი გველესიანი. „სამწუხარო შეცდომების“ აღსანიშნავად საგანგებოთ მოწვეული იყო ამ საქმეში კარგათ დახელოვნებული მასწ. ხარჩილაძე. ნადიმს დაესწრო ს.-დ. ფრაქცია. რადგან ესენი არ ეკუთ-

ვნოდენ არც მეფის და არც დედოფლის მაყრებს, ორივე მხარისგან ათვალწინებული შეიქნენ.

ნიშნობაზე, რომელიც მოხდა 12 მარტს, დადგენილი იყო გაფიცვა. ამის გამო ქორწილზე მოვიდა ძღვენათ რესპუბლიკის მასწავლებელთა ცენტრალური კავშირიდან დიდი ცხვირი დეპეშით. ეს ძღვენი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ყველას ეყო გარდა ს.დ-ბისა და თანასწორათ გაინაწილეს. ლხინის დროს მოულოდნელად ჩამოვარდა ბაასი, რომლის უმთავრეს საგანს შეადგენდა გამოარკვევა მანძილისა საჩხერის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ფეხის ადგილიდან ჭამლი. თურცა ამ ბაასს დიდი აურ-ზაური მოჰყვა, მაგრამ ბოლოს მაინც მშვიდობიანათ დასრულდა. ნიშნად მშვიდობით ვადარჩენისა, ღმერთს ზეარაკად შესწირეს სტ. კიკაჩიევილი. ამის გამო ნამეტან მხიარულ გუნებაზე დადგა მღ. კ. ხუსკივაძე, რომელიც ვერაფრითარი ზომებით ვერ დააწყნარეს. ამ ამბავმა მეტათ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ბ ქვორუმზე, რომელიც გამწყრალი ადგა და მეთორმეტე ნომრის მატარებლით თფილისს გაემგზავრა ეშმაკთან საჩივლელოთ.

მაყარი მანიძე.

ბერანუქსებური.

(ძღვენათ ერთ თფილისელ სპეკულიანტს)

აჯან ჩემო თავო
 საქმეა კარგათა
 გუშინ თუ მშობდა
 დღეს ხომ ვარ მაძღრათა
 წინათ მშიერ-მუცლით
 ძლივსლა დავდიოდი
 ვამეღელს და გამოვღელს
 ჩემს ბედს შევჩიოდი.
 დღეს კი საკუთარი
 მაქვს ავტომობილი,
 სახლიც შევიძინე
 თითქმის მთელი წყვილი.
 რას დავეძებ მას თუ
 ხალხი იტანჯება...
 მაგიერათ დღეს მე
 ხო მომეცა შვება?!
 დაე ხალხს შიოდეს,
 ისე როგორც მგელსა.
 ოღონდ ხელი ვსტაცო
 საქმეს საყვარელსა.
 რა კარგი ყოფილა
 სპეკულიანტობა
 დაივიწყებ ყველას
 არ ვისი გწამს ძმობა.
 რამდენიმე დღეში
 ვიგებ მილიონებს
 ამის შემხედვარეს
 მაშ რა დამალონებს?

გ. ბომბოთელი.

„ლტოლელები“ თფილისში




— აჰ, ღმერთო ჩემო, ეორეკ შეხედე ამათ... მეშინია, ესენი გადაცმული ბალშევიკები არ იყვნენ... დაგვზვრავენ, დაგვეცემიან და ყველა მარგალიტებს წაგვართმევენ.
 — არა ჩემო კარგო, ნუ გეშინია, ესენი ჩვენსავით უბედური ლტოლელები არიან.

ფოთის ტრამვაი.



ფოთის ტრამვაი იმდენათ არ არის საკვირველი, რამდენათაც თვით ფოთელები, რომელთაც ასეთ ტრამვაიშიც კი სძინავთ.

სურათი-გამოცანა



„ეშვაკის მათრახი“

გამოწერა შეიძლება მხოლოდ სამი თვის. თვეში ღირს — 40 მან., ფულის გამოგზავნა წინდა წინ აჩის საქიო. რუდაქციისა და კანტორის მი-სამართი: ტფილისი, რუსთაველის პრისპექტი № 24. მეორე სართული.

გამოვიდა ახალი წიგნი,

პირველად ქართულ ენაზე:

კედაგუვიპა და ფსიკოლოგია

შედგენილი ი. პ. როტსომიშვილის-მიერ.

ნამდვილი პრაქტიკული და პოპულარი სახელ-მძღვანელოა მშობელთა და მასწავლებელთათვის, თუ როგორ ასწავლონ და აღზარდონ ბავშვები და მოსწავლენი შინ და სკოლებში, ექვსი დამა-ტბრთი (კალკე წერილთ თანამედროვე საბუნა-ვითი კითხვებიდან და პროექსორი უ ნუცუბიძის მოხსენებით ჩვენი განთლების მთავრობისადმი ამ წიგნის შესახებ.

ფასი 60 მანეთი.

დაზღვეულად გავზავნით 70 მან., გამსყიდვე-ლებს დაეთმობა წიგნზე თუმანი, წილებსა კი ვის-მე უნდა დაავილონ.

მისამართი: თბილისი, თუმანოვის შესახ., 24,
ივანე პავლეს ძე როტსომიშვილს.